ხელშეკრულება N070715/11
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **7 ივლისი 2015წ.**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი,** წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ალექსი ახვლედიანის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, მაჩაბლის ქ. №11;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404404211;

მეორე მხრივ, **სს "Hualing international special economic zone"** წარმოდგენილი მისი დირექტორის სიაოწინ შაო სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი")
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი–სამგორის რაიონი, ჯუმბერ ლეჟავას #22
საიდენტიფიკაციო კოდი: 404934381
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი", CBASGE22, ა/ა GE03BS0000000069536111

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება
1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე აწვდის მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.1.5. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.1.6. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი
2.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისთვის ლანჩის პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირებისათვის კვების მომსახურეობის გაწევას თანდართული მენიუსა და პირობების შესაბამისად (დანართი N1) **კერძოდ ლანჩის ორგანიზება სასტუმრო "Preference"-s რესტორანში წინასწარ შეთანხმებული პირთა რაოდენობისთვის, 2015 წლის 8 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით,** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით ***(CPV: 55300000 – რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები).***
2.2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ გაწეული იქნება სრულად საკუთარი მასალით, რესურსითა და პროდუქციით.
2.3. მომსახურების გაწევა ითვალისწინებს შემსყიდველის მიერ აუცილებელი ფართის გადაცემას, წინასწარ შეთანხმებული მენიუს მიხედვით ან/და დამატებითი კერძების მომზადებას და მიწოდებას.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები
3.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
3.1.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
3.1.2. დადოს ხელშეკრულება/ხელშეკრულებები ქვეკონტრაქტორებთან, შრომითი და სხვა სახის ხელშეკრულებები თავისი სახელით, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით; მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობის ვალდებულება ამგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევისათვის პასუხს აგებს მიმწოდებელი ამ ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მიმწოდებელი მონაწილეობს თავისი სახელით და დაუშვებელია მისგან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის დაკისრება შემსყიდველისათვის;
3.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

3.2.1. მოითხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევა სრულად და ჯეროვნად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის (ტექნიკური თუ სხვა სახის მონაცემები) და ვადის შესაბამისად.
3.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;
3.2.3. არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
3.2.4. წერილობითი (მათ შორის ელ. ფოსტის მეშვეობით) ან/და ზეპირი ფორმით მისცეს მითითებები მიმწოდებელს ვალდებულებათა შესრულების თაობაზე. ამ სახით განხორციელებული მითითებები სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილს, თუ მითითება განხორციელდა ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების მიერ.
3.2.6. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1.1 დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად,
3.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
3.1.3. გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში მითითებული უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.
3.1.4. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ან შეფერხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრული სპეციფიკის, ტექნიკური მონაცემებისა თუ რაოდენობით მიწოდების შემთხვევაში, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები ხელშეკრულებაში ან/და მის დანართში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს;
3.1.5. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროსა და ადგილზე ან/და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წერილობითი თუ ზეპირი მითითებების შესაბამისად;
3.1.6. საკუთარი რესურსითა და ხარჯით აღმოფხვრას ხარვეზი, რომელიც გამოვლინდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა თუ თანმდევი მომსახურების გაწევისას. ხარვეზის აღმოფხრისათვის შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შემსყიდველი უფლებამოსილია თავად გამოასწოროს ხარვეზი (ნაკლი). ხარვეზის აღმოფხვრისას შემსყიდველის მიერ გაწეული ხარჯი გამოიქვითება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან. იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზის (ნაკლის) აღმოფხვრა შეუძლებელია ან დაკავშირებულია დიდ ძალისხმევასთან და შეუსაბამოდ ხანგრძლივ ვადებთან, შემსყიდველი უფლებამოსილია აღნიშნული ხარვეზის (ნაკლის) მქონე საქონლის ან/და მომსახურების ღირებულება გამოქვითოს მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა;
3.1.7. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან შესრულების სავარაუდო დაგვიანების თაობაზე;
3.1.8. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
3.1.9. არ გაამჟღავნოს, არ გადასცეს მესამე პირს ან სხვა სახით არ დაუშვას წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შემსყიდველისა და აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ ან/და მისგან გამომდინარედ მისთვის გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად ინფორმაციის წერილობითი თუ ზეპირი ფორმისა. აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ასევე ნებისმიერ პირზე, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან მონაწილეობას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე და მოქმედებს იქამდე, ვიდრე შემსყიდველი მისი გაუქმების თაობაზე არ გამოხატავს წერილობით თანხმობას. მიმწოდებლის ან/და ამ პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი პირის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3.1.10. შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, ნებისმიერ დროს მიაწოდოს ინფორმაცია ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;
3.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის სფეროში;

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების მე–2 მუხლში მითითებული მომსახურების საორიენტაციო **ღირებულება შეადგენს 10 800 (ათი ათას რვაასი) ლარს, კერძოდ ერთი პირისათვის კვების მომსახურების გაწევის ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს.**
4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის მომსახურების გაწევის დროს გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3. გადახდის ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

მუხლი 6. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების საფუძველზე, **2015 წლის 8 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით,** შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **სასტუმრო "Preference"-ს რესტორანში.**

6.2. მომსახურების მოწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი).

6.3. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის, (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი ან სასაქონლო ზედნადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენის შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან ასევე მიენიჭოს **ა(ა)იპ – „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტის" კვების დეპარტამენტის უფროსს გია ლომთათიძეს.**

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის, ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,7%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელის მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოსა და მიწოდებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

12.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

12.2 ამ ხელშეკრულების 12.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

12.3 გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 12.1, 12.2. და 12.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1, 12.2. და 12.3. პუნქტებით განსაზღვრული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

15.2. მხარეებს, სადავო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ მიმართონ საქართველოდ სასამართლოს.

მუხლი 16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

მუხლი 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

17.3. ყველა დანართი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება ხელშეკრულებასთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა რამე სახის წინააღმდეგობა ხელშეკრულებასა და მის დანართებს შორის უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი TBILISI 2015 404404211 ალექსი ახვლედიანი თავმჯდომარე	სს "Hualing international special economic zone" 404934381 სიაოწინ შაო დირექტორი

მომსახურების გაწევის წესები

1. შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეულ კვების მომსახურებას. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების აღწიცხვა განხორციელდება შესაბამისი ტალონების წარდგენით, რომელსაც თითოეული პირი წარუდგენს მიმწოდებელს ლანჩის დროს. ტალონს ხელს აწერს ხელშეკრულებით განსაზღვრული მაკონტროლებელი პირი. წინააღმდეგ შემთხვევაში ტალონს არ აქვს მოწმედების ძალა.
2. შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი ატყობინებს პირთა ზუსტ რაოდენობას მიმწოდებელს არაუგვიანეს მომსახურების გაწევის დღის წინა დღის 22:00 საათისა. შეკვეთის სრულად გაუუქმების შესახებ მიმწოდებელი უნდა იქნას გაფრთხილებული არაუგვიანეს 2 დღით ადრე.
3. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ სრულად არ იქნა მიღებული მომსახურება შემსყიდველის მიზეზით, ანაზღაურება განხორციელდება წინასწარ შეკვეთილი რაოდენობის 90%-ის ოდენობით.
4. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მხრიდან ფაქტობრივად მიღებული მომსახურების რაოდენობამ გადააჭარბა წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას, შემსყიდველი აანაზღაურებს დამატებით ფაქტობრივად მიღებული მომსახურების ღირებულებას (შენიშვნა - 10%-ცვლილება არ ექვემდებარება ანაზღაურებას).
5. მენიუ შეიძლება შეიცვალოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

ლანჩის მენიუ

Olympic Group - 7 day rotation menu 1

	Monday	Tuesday	Wednesday	Thursday	Friday	Saturday	Sunday
Lunch 13:00 till 15:00							
Salad and bread	pickled vegetables	pickled vegetables	pickled vegetables	pickled vegetables	pickled vegetables	pickled vegetables	pickled vegetables
	lettuce, tomato and cucumber	lettuce, tomato and cucumber	lettuce, tomato and cucumber	lettuce, tomato and cucumber	lettuce, tomato and cucumber	lettuce, tomato and cucumber	lettuce, tomato and cucumber
	coleslaw with sweetcorn, beetroot salad	pasta salad	rice salad	coleslaw, potato salad	pasta salad	rice salad	eggplant salad, potato salad
	freshly baked bread	freshly baked bread	freshly baked bread	freshly baked bread	freshly baked bread	freshly baked bread	freshly baked bread
Hot dishes	baked pasta with beef, spinach and ricotta cheese	roast chicken with herbs	warm Mediterranean caponata	baked pasta with bolognese sauce	green been casserole	chicken casserole with root vegetables	baked pasta with ricotta cheese, peas and meat ragout
		boiled potatoes	mashed potatoes		boiled potatoes	mashed potatoes	

	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup	oil, vinegar, chili flakes, butter and tomato ketchup
Beverages	water	water	water	water	water	water	water

TBILISI 2015
404404211

ქ. თბილისი

მიღება - ჩაბარების აქტი

17 ივლისი, 2015 წელ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ – **ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტ**
წარმოდგენილი მისი კვების დეპარტამენტის უფროსის, გია ლომთათიძის სახით (ხელშეკრულება N070715/11-ი
განსაზღვრული წინამდებარე აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი), (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, მაჩაბლის ქ. №11;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404404211;

მეორე მხრივ, **სს "Hualing international special economic zone"** წარმოდგენილი მისი დირექტორის სიაოწინ შაო სახით (შემდგომშ
წოდებული, როგორც „მიმწოდებელი")
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი–სამგორის რაიონი, ჯუმბერ ლეჟავას #22
საიდენტიფიკაციო კოდი: 404934381
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი", CBASGE22, ა/ა GE03BS0000000069536111

1. მხარეებს შორის 2015 წლის 2 ივლისს მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების N070715/1 საფუძველზე, მიმწოდებელმა მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო შემდეგი მომსახურება:

1.1. ლანჩის პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირებისათვის კვების მომსახურეობის გაწევა
შესაბამისი მენიუს მიხედვით, **კერძოდ ლანჩის ორგანიზება სასტუმრო "Preference"-ის რესტორანში წინასწარ შეთანხმებულ**
პირთა რაოდენობისთვის, 2015 წლის 8 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით.

2. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს **8740 (რვა ათას შვიდას ორმოცი)** ლარს, ხელშეკრულების
ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება
„მიმწოდებელს" და ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან.

3. წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი
ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი	სს "Hualing international special economic zone"
გია ლომთათიძე კვების დეპარტამენტის უფროსი	სიაოწინ შაო დირექტორი